ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2024 წლის 26 მარტი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №31 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 21/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016604) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

2. დადგენილებას პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „1^1 მუხლი“:

„მუხლი 1^1

დეტალური გეგმით გათვალისწინებული საპროექტო ობიექტების სიმაღლის განსაზღვრა (დაზუსტება) ნაცვლად წარმოდგენილი პარამეტრებისა განხორციელდეს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ მიერ დასაშვებად მიჩნეული და შეთანხმების დოკუმენტით განსაზღვრული სიმაღლის პარამეტრების შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**